სს სოვეის ინტერნეიშენალი

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა

2023 წლის 31 დეკემბერს

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება 6

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 7

ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ 8

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 10
2. მომზადების საფუძვლები 10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 12
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა 12
5. ამონაგები 15
6. პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერა 15
7. სხვა საოპერაციო ხარჯები 15
8. ძირითადი საშუალებები 15
9. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები 16
10. არამატერიალური აქტივები 16
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 17
12. ფული და ფულის ეკვივალენტები 17
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 17
14. პირობითი ვალდებულებები 17
15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 18
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 19
17. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 19

მმართველობის ანგარიშგება 28

ტელ: +995 32 2545 845
ტელ: +995 32 2188 188
www.bdo.ge

თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0179 თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს სფეის ინტერნეიშენალის აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ **სს სფეის ინტერნეიშენალის** (შემდგომში - კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მის მომზადებაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

შპს ბიდიო აუდიტი (ს/კ 205145403) არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2023 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- 2023 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვდენილობაზე და მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის" სახელით

თბილისი, საქართველო

2 ოქტომბერი, 2024

სს სფეის ინტერნეიშენალი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	**2023**	**2022**
ამონაგები	5	**20,777,252**	**13,936,374**
პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერა	6	(8,528,811)	(7,027,459)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(11,108,427)	(4,314,002)
ცვეთა და ამორტიზაცია		(5,048,327)	(2,856,923)
სხვა საოპერაციო ხარჯები	7	(3,409,255)	(2,144,892)
საოპერაციო ზარალი		**(7,317,568)**	**(2,406,902)**
წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		(93,804)	(416,939)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		329,443	88,166
წლის მთლიანი სრული ხარჯი		**(7,081,929)**	**(2,735,675)**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 2 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ ნიკოლოზ ქურდიანი

ფინანსური დირექტორი _____ ქეთევან თევზაძე

10-27 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	5	**20,777,252**	**13,936,374**
პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერა	6	(8,528,811)	(7,027,459)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(11,108,427)	(4,314,002)
ცვეთა და ამორტიზაცია		(5,048,327)	(2,856,923)
სხვა საოპერაციო ხარჯები	7	(3,409,255)	(2,144,892)
საოპერაციო ზარალი		**(7,317,568)**	**(2,406,902)**
წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		(93,804)	(416,939)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		329,443	88,166
წლის მთლიანი სრული ხარჯი		**(7,081,929)**	**(2,735,675)**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 02 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი		ნიკოლოზ ქურდიანი
ფინანსური დირექტორი		ქეთევან თევზაძე

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	1,424,136	1,140,399
აქტივების გამოყენების უფლება	9	972,801	259,471
არამატერიალური აქტივები	10	75,614,332	46,415,135
		78,011,269	**47,815,005**
მიმდინარე აქტივები			
სხვა აქტივები		8,937	14,495
საგადასახადო აქტივი		130,808	320,646
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	5,961,558	6,009,382
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	977,933	961,492
		7,079,236	**7,306,015**
მთლიანი აქტივები		**85,090,505**	**55,121,020**
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		84,492,969	51,292,969
დაგროვილი ზარალი		(8,565,149)	(1,483,220)
მთლიანი კაპიტალი		**75,927,820**	**49,809,749**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	9	569,119	166,356
		569,119	**166,356**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	8,164,338	5,070,340
საიჯარო ვალდებულება	9	429,228	74,575
		8,593,566	**5,144,915**
სულ ვალდებულებები		**9,162,685**	**5,311,271**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**85,090,505**	**55,121,020**

10-27 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს სფეის ინტერნეიშენალი

ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	სააქციო კაპიტალი	**(დაგროვილი ზარალი)/ გაუნაწილებელი მოგება**	**სულ**
31 დეკემბერი 2021	**32,592,969**	**1,252,455**	**33,845,424**
საწესდებო კაპიტალის ზრდა	18,700,000	-	**18,700,000**
წლის მთლიანი სრული ხარჯი	-	(2,735,675)	**(2,735,675)**
31 დეკემბერი 2022	**51,292,969**	**(1,483,220)**	**49,809,749**
საწესდებო კაპიტალის ზრდა	33,200,000	-	**33,200,000**
წლის მთლიანი სრული ხარჯი	-	(7,081,929)	**(7,081,929)**
31 დეკემბერი 2023	**84,492,969**	**(8,565,149)**	**75,927,820**

10-27 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
ზარალი დაბეგვრამდე	**(7,081,929)**	**(2,735,675)**
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	5,048,327	2,856,923
ანარიცხები თანამშრომელთა სხვა სარგებელისთვის	723,306	725,830
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	(329,443)	(88,166)
წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	93,805	416,939
	(1,545,934)	**1,175,851**
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:		
სხვა აქტივები	5,558	(14,495)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	47,824	(4,499,293)
საგადასახადო აქტივი	189,838	(248,652)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(211,931)	1,518,787
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**(1,514,645)**	**(2,067,802)**
მიღებული საპროცენტო შემოსავალი	378,426	110,361
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**(1,136,219)**	**(1,957,441)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(642,141)	(741,404)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(31,036,349)	(18,635,904)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	**(31,678,490)**	**(19,377,308)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის ზრდა	33,200,000	18,700,000
საიჯარო ვალდებულებების გადახდა	(248,927)	(75,461)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	**32,951,073**	**18,624,539**
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)	**136,364**	**(2,710,210)**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	**961,492**	**4,309,703**
უცხოური ვალუტის გადაფასების ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე	(119,923)	(638,001)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	**977,933**	**961,492**

10-27 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ზოგადი ინფორმაცია

სს სფეის ინტერნეიშენალი (შემდგომში - კომპანია) დაფუძნდა 2021 წლის 2 თებერვალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (ს/კ: 402178442). კომპანიის სამართლებრივი ფორმაა სააქციო საზოგადოება.

სს „სფეის ინტერნეიშენალი" საკუთარ მომხმარებელს სთავაზობს სრულიად ციფრულ საბანკო მომსახურებას, რომლის მიზანია ინოვაციებით, ტექნოლოგიებით და დიზაინით გააუმჯობესოს საბანკო სერვისებით სარგებლობის გამოცდილება. კომპანია უზრუნველყოფს მომხმარებლებისთვის პროგრამული უზრუნველყოფითა და მასთან დაკავშირებული მომსახურებით სარგებლობის უფლების გადაცემას.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბერის მდგომარეობით კომპანიის აქციების 100%-ის მფლობელია სს სფეისი.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბერის მდგომარეობით კომპანიას არ ჰყოლია საბოლოო მაკონტროლებელი მხარე.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, მარჯანიშვილის ქ. N7.

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს–ები) შესაბამისად.

კომპანია აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა მოცემულია ფინანსური ანგარიშგების 18-ე შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის ფუნქციონირებას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ახალი სტანდარტების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი სტანდარტები და შესწორებები:

- ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები
- სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები (შესწორება - ბასს 1 და ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2 – „არსებითობის განსჯა“);
- სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (შესწორება - ბასს 8 „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებაში და შეცდომები);
- გადავადებული გადასახადი, რომელიც უკავშირდება ერთი ოპერაციიდან წარმოქმნილ აქტივებს და ვალდებულებებს (ბასს 12-ის შესწორება); და

ეს ცვლილებები ფასს-ების სხვადასხვა სტანდარტებში ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან ან შემდგომი საანგარიშგებო პერიოდებისთვის. არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, IASB-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც ორგანიზაციამ გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად.

2024 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას - (ფასს 16-ის შესწორება);
- ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება);
- კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება); და
- მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში).

2025 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები).

ამჟამად, კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, ბასს 1-ში შესულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე, რადგან მისი სავალო ინსტრუმენტები არ მოიცავენ კონვერტაციის პირობას.

კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადების შეფასება ხდება მსგავსი აქტივების გამოცდილების საფუძველზე. აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი ძირითადად ამოიწურება მისი გამოყენების მანძილზე. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური ან ეკონომიკური წუნი და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივის ეკონომიკური სარგებლის დაქვეითებას. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების გამოყენების მოსალოდნელი პერიოდი; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და შენარჩუნების პროგრამაზე; და (გ) ტექნიკური ან კომერციული წუნი, რომელიც გამოწვეულია ბაზარზე პირობების ცვლილების შედეგად.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
  - სავალუტო რისკი
  - საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე კომპანია დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიშვება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,668,093	3,287,755
ფული და ფულის ეკვივალენტები	977,933	961,492
	5,646,026	**4,249,247**

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის მატარებელი ფინანსური აქტივები კომპანიისთვის არის სავაჭრო მოთხოვნები. კომპანიის დებიტორები წარმოადგენენ სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტებს, რომლებიც წარმატებით ოპერირებენ ადგილობრივ ბაზარზე, რის გამოც მნიშვნელოვნად მცირდება საკრედიტო რისკი. კომპანიის მიერ კლიენტებისთვის შეთავაზებულ საკრედიტო პირობებში მითითებული გადახდის ვადა არასდროს აჭარბებს 30 დღეს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშვება კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

კომპანიის ოპერაციები ძირითადად ფინანსდება იმ კაპიტალის და სახსრების მეშვეობით, რომლებიც გააჩნია მფლობელებს.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდურობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1 წლიდან 5 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,938,083	-	839,668	**6,777,751**
საიჯარო ვალდებულებები	104,853	314,560	641,208	**1,060,620**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**6,042,936**	**314,560**	**1,480,876**	**7,838,371**

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდურობის ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1 წლიდან 5 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,417,663	-	116,361	**3,534,024**
საიჯარო ვალდებულებები	18,644	55,931	198,867	**273,442**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**3,436,307**	**55,931**	**315,228**	**3,807,466**

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

- **საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ ფინანსურ ინსტრუმენტებთან მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე აქტივები და ვალდებულებები.

- **სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკის ზეგავლენა კომპანიაზე 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	4,668,093	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	61,930	121,381	794,622
	61,930	**4,789,474**	**794,622**
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,740,688	246,504	790,559
საიჯარო ვალდებულებები	-	998,347	-
	5,740,688	**1,244,851**	**790,559**
ღია საბალანსო პოზიცია	**(5,678,758)**	**3,544,623**	**4,063**

სავალუტო რისკის ზეგავლენა კომპანიაზე 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	3,287,755	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	578,940	79,488	303,064
	578,940	**3,367,243**	**303,064**
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,768,804	81,407	683,813
საიჯარო ვალდებულებები	-	240,931	-
	2,768,804	**322,338**	**683,813**
ღია საბალანსო პოზიცია	**(2,189,864)**	**3,044,905**	**(380,749)**

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას ქართულ ლართან მიმართებით ევროს გაცვლითი კურსების 20%-იან ზრდასა ან კლებაზე და წარმოადგენს ხელმძღვანელობის შეფასებას ევროს გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებაზე. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ ევროთი განხორციელებულ ოპერაციებს და აკორექტირებს მათ წლის ბოლოს ევროს კურსის 20% -იანი ცვლილების პირობებში. ფინანსური ინსტრუმენტების გავლენა სრული შემოსავლის ანგარიშგებასა და კაპიტალზე მოცემულია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	
	ლარი / აშშ დოლარი	ლარი / ევრო
20% ზრდა	708,925	813
20% შემცირება	(708,925)	(813)

	31 დეკემბერი 2022	
	ლარი / აშშ დოლარი	ლარი / ევრო
20% ზრდა	608,981	(76,150)
20% შემცირება	(608,981)	76,150

5. ამონაგები

ამონაგები:	2023	2022
ციფრული ბანკის ლიცენზიების გაყიდვიდან	17,719,830	12,645,762
სხვა მომსახურებიდან	3,057,422	1,290,612
	20,777,252	**13,936,374**

ამონაგები:	2023	2022
ადგილობრივ ბაზარზე გაყიდვებიდან და მომსახურების გაწევიდან	2,044,800	2,160,999
უცხოურ ბაზარზე გაყიდვებიდან და მომსახურების გაწევიდან	18,732,452	11,775,375
	20,777,252	**13,936,374**

6. პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერა

პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერის ხარჯები მოიცავს ლიცენზიების სასარგებლო მომსახურების ვადის ამოწურვამდე, მათ ეფექტურ მუშაობასთან დაკავშირებულ ყოველთვიურ ხარჯებს, რომლებსაც კომპანია უხდის ლიცენზიების მომწოდებლებს.

7. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2023	2022
საკონსულტაციო და პროფესიული	(1,964,579)	(1,738,628)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(1,029,130)	(293,680)
სხვა	(415,546)	(112,584)
	(3,409,255)	**(2,144,892)**

8. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	კომპიუტერები და სხვა ტექნიკური აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	სულ
31 დეკემბერი 2021	**634,749**	**20,642**	**-**	**655,391**
შემოსვლა	553,848	118,792	68,782	**741,422**
31 დეკემბერი 2022	**1,188,597**	**139,434**	**68,782**	**1,396,813**
შემოსვლა	552,216	71,795	18,150	**642,161**
31 დეკემბერი 2023	**1,740,813**	**211,229**	**86,932**	**2,038,974**
დაგროვილი ცვეთა				
31 დეკემბერი 2022	**(47,508)**	**(2,291)**	**-**	**(49,799)**
ცვეთა	(185,350)	(14,088)	(7,177)	**(206,615)**
31 დეკემბერი 2022	**(232,858)**	**(16,379)**	**(7,177)**	**(256,414)**
ცვეთა	(304,778)	(35,604)	(18,042)	**(358,424)**
31 დეკემბერი 2023	**(537,636)**	**(51,983)**	**(25,219)**	**(614,838)**
ნეტო საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2022	**955,739**	**123,055**	**61,605**	**1,140,399**
31 დეკემბერი 2023	**1,203,177**	**159,246**	**61,713**	**1,424,136**

9. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

კომპანიის საიჯარო ხელშეკრულებები, რომლებზეც აღიარებულია აქტივის გამოყენების უფლება, მოიცავს ადმინისტრაციული ოფისის იჯარას. ხელშეკრულების განახლების უფლება დაფუძნებულია არსებულ ბიზნეს პრაქტიკაზე. იჯარის ვადიანობა განსაზღვრულია 5 წლით. საიჯარო გადასახდელები წარმოდგენილია აშშ დოლარში. იჯარის ზღვრული საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა წლიურ 7.68%-ს.

აქტივების გამოყენების უფლება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
ნაშთი წლის დასაწყისში	**259,471**	**330,236**
წლის განმავლობაში გაფორმებული ხელშეკრულებები	967,050	-
ცვეთა	(253,720)	(70,765)
ნაშთი წლის ბოლოს	**972,801**	**259,471**

საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
ნაშთი წლის დასაწყისში	**240,931**	**333,466**
წლის განმავლობაში გაფორმებული ხელშეკრულებები	967,050	-
საპროცენტო ხარჯი	48,983	22,195
საიჯარო გადასახადი	(248,927)	(75,461)
გაცვლითი კურსის ეფექტი	(9,690)	(39,269)
ნაშთი წლის ბოლოს	**998,347**	**240,931**

10. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	**სფეის ციფრული ბანკინგი**
31 დეკემბერი 2021	**30,312,013**
შემოსვლა	19,401,124
31 დეკემბერი 2022	**49,713,137**
შემოსვლა	33,635,380
31 დეკემბერი 2023	**83,348,517**
დაგროვილი ცვეთა	
31 დეკემბერი 2021	**(718,460)**
ცვეთა	(2,579,542)
31 დეკემბერი 2022	**(3,298,002)**
ცვეთა	(4,436,183)
31 დეკემბერი 2023	**(7,734,185)**
ნეტო საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2022	**46,415,135**
31 დეკემბერი 2023	**75,614,332**

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო მოთხოვნები	4,668,106	3,287,755
პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერისთვის გადახდილი ავანსები	1,293,452	2,721,627
	5,961,558	**6,009,382**

კომპანია მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შეფასებისთვის იყენებს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებულ მიდგომას ფასს 9-ის მიხედვით. კოლექტიურად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შეფასებისთვის, სავაჭრო მოთხოვნები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული.

12. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	61,929	578,829
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	916,004	382,663
	977,933	**961,492**

* ფული და ფულის ეკვივალენტების ვალუტების მიხედვით გაშიფვრა იხილეთ მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	1,123,516	812,191
ანარიცხები თანამშრომელთა სხვა სარგებელისთვის	5,654,237	2,721,833
	6,777,753	**3,534,024**
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	1,386,585	1,536,316
	1,386,585	**1,536,316**
სულ ვალდებულებები	**8,164,338**	**5,070,340**

14. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები - საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კომპანიის ბოლო სამი წლის მონაცემების შემოწმება.

15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ)მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კოტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ტრანზაქციები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის:

ფინანსური ანგარიშგების არე	დედა კომპანია	უმაღლესი მენეჯმენტი	საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ
ამონაგები	-	-	20,777,252
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	-	(974,629)	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	4,668,093
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(790,557)	(1,349,406)	(1,386,585)

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ტრანზაქციები 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის:

ფინანსური ანგარიშგების არე	დედა კომპანია	უმაღლესი მენეჯმენტი	საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ
ამონაგები	-	-	13,936,374
სხვა საოპერაციო ხარჯები	(1,207,328)	-	-
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	-	(1,341,731)	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	3,603,798
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(674,727)	(713,103)	(1,536,316)

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

სააქციო კაპიტალის ზრდა

2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 26 სექტემბრამდე კომპანიის სააქციო კაპიტალი გაიზარდა ფულადი შენატანით, ჯამურად 37,000,000 ლარის ოდენობით.

საქართველოს ბაზრიდან გასვლა

2024 წელს ჯგუფმა მიიღო სტრატეგიული გადაწყვეტილება, შეწყვიტოს „Space"-ის, მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბიზნეს ხაზის ოპერაციები, რაც გულისხმობდა, თიბისი ბანკ საქართველოსთან გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტას. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ჯგუფის რესურსების მაქსიმალური ღირებულების მისაღწევად და სწრაფად მზარდი მიმართულებებისკენ გადასანაწილებლად, რაც სრულად შეესაბამება ბანკის გრძელვადიან მიზნებს.

საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მიღება

2024 წლის 1 ივლისს, საქართველოში სს სფეის ინტერნეიშენალმა წარმატებით მოიპოვა საერთაშორისო კომპანიის სტატუსი, რაც მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს კომპანიის განვითარებისათვის. აღნიშნული სტატუსი უზრუნველყოფს შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმით სარგებლობას.

17. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური აქტივები

სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგი სამი კატეგორიიდან ერთ-ერთად: შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. მენეჯმენტმა განსაზღვრა ბიზნეს მოდელი და კომპანიის მფლობელობაში არსებული ფინანსური აქტივები მიაკუთვნა - „ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით" კატეგორიას.

ამორტიზებული ღირებულება

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია ფასს 9-ის პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპონდენციით და რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს, რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

17. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

ოპერაციის მიზნიდან გამომდინარე კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების" კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გადახურვა

კომპანია ფინანსურ აქტივებისა და ვალდებულებების გადახურვას აკეთებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას გადახურული ნაშთის საფუძველზე, ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფასს 13 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 13 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

- იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
- პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
- ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 13-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდი ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

17. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთის ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილის გამოცვლის დროს გაწეული ხარჯი კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ჩამოიწერება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს ძირითადი საშუალების გაუფასურების ინდიკატორებს. თუ მსგავსი ინდიკატორი არსებობს, მენეჯმენტი აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც არის უდიდესი გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ აქტივის რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. საბალანსო ღირებულება შემცირებულია მის ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალში. წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ხარჯი კვლავ შემოსავლად აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს შეფასების ცვლილებას, რომლითაც თავდაპირველად განისაზღვრა აქტივის გამოყენების ღირებულება, ან იცვლება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ აქტივის რეალური ღირებულება.

გაყიდვისგან მიღებული სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება გაყიდვის დროს მიღებული შემოსავლისა და აქტივის ჩამოწერილი საბალანსო ღირებულების ურთიერთშედარების შედეგად.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
კომპიუტერები სხვა ტექნიკური აღჭურვილობა	1 - 5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	1 - 10

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივს აქვს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა და მოიცავს ციფრული ბანკის პროგრამულ უზრუნველყოფას. არამატერიალურ აქტივზე კაპიტალიზდება პლატფორმის განვითარებასთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც მოიცავს თანამშრომელთა ხელფასებს და სხვა პირდაპირ მიკუთვნებად ხარჯებს. არამატერიალურ აქტივთან დაკავშირებული სხვა ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული პლატფორმის განვითარებასთან აღიარდება ხარჯად მისი გაწევისთანავე. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივად 15 საანგარიშგებო წელზე.

17. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დაბეგვრა

ესტონური საგადასახადო მოდელის მიზანია გაამარტივოს გადასახადის ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას.

მოგების გადასახადის მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ გადაავადოს მოგების გადასახადის გადახდის დრო წმინდა მოგების განაწილებამდე. ეს მოდელი გაზრდის თანხების ხელმისაწვდომობას და ხელს შეუწყობს გამომუშავებული თანხის რეინვესტირებას კომპანიებში. მოგების გადასახადი განაკვეთი იგივე 15% რჩება, ტექნიკურად 15%/85% გამოყენებული იქნება დაბეგვრის ობიექტად. გარდა ამისა, ნაცვლად წლიური ხარჯისა, მოგების გადასახადის დარიცხვა მოხდება ყოველთვიურად არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

მოგების გადასახადით დასაბეგრი ოპერაციებია:

- გადახდილი დივიდენდი
- სხვაობა სახელშეკრულებო ფასსა და საბაზრო ფასს შორის
- ხარჯები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საჩუქრები და უფასო მიწოდება
- წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აღემატება ლიმიტს

საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

მოგების გადასახადის გარდა გადასახადები აღიარდება მაშინ როცა ადგილი აქვს დასაბეგრ მოვლენას. დასაბეგრი მოვლენა არის მოვლენა რომელიც წარმოშობს გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები დაიანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი. დამატებითი ნაზრდი ხარჯების აღიარება, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ჩვეულებრივი აქციების გამოშვებასთან, ხდება კაპიტალიდან დაქვითვით, ნებისმიერი საგადასახადო თანხების გამოკლებით.

ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებლებთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე "კონტროლი" მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების დროულობა

კომპანია შემოსავლებს იღებს გაწეული მომსახურებიდან. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა შემოსავლების მიღების მნიშვნელოვან წყაროებზე წარმოდგენილია ქვემოთ:

17. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლები გაწეული მომსახურებიდან

კომპანია საკუთარ მომხმარებელს სთავაზობს სრულიად ციფრულ საბანკო მომსახურებას, რომელიც მოიცავს შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ მომხმარებლებისთვის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებისა და მასთან დაკავშირებული მომსახურებით სარგებლობის უფლების გადაცემას. შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაიწევა მომსახურება, იმ მოცულობით, რომლის ფარგლებშიც კომპანიას მიღება-ჩაბარების დოკუმენტის შესაბამისად აქვს შესრულებული ვალდებულება.

სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

გაწეულ მომსახურებაზე ფასის გადანაწილება ხდება ფიქსირებული ფასების მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია ხელშეკრულებაში და მოიცავს ყველა ხარჯს, რომელიც დაკავშირებულია მომსახურების გაწევასთან.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

მომსახურების გაწევისას წარმოქმნილი ხარჯები აღიარდება შემოსავლების პროპორციულად.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

იჯარები

კომპანია როგორც მოიჯარე

იჯარის იდენტიფიკაცია

იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, კომპანიამ უნდა შეაფასოს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება.

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა აღიარებულია კომპანიის ბალანსზე შემდეგნაირად:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს უფლებას გამოიყენოს ძირითადი აქტივი იჯარის ვადის განმავლობაში;
- ვალდებულება იჯარის გადახდის ვალდებულებისათვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მონაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე.

17. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

პირველადი აღიარებისას, იჯარის ვალდებულების საბალანსო ღირებულება ასევე მოიცავს:

- თანხები მოსალოდნელი უნდა იყოს გადასახდელი ნებისმიერი ნარჩენი ღირებულების გარანტიით;
- კომპანიის სასარგებლოდ მინიჭებული ნებისმიერი შესყიდვის ვარიანტის განხორციელების ფასი, თუ გონივრულად დარწმუნებულია ამ ვარიანტის შეფასება;
- ნებისმიერი ჯარიმა გადასახდელი იჯარის შეწყვეტისათვის, თუ იჯარის ვადა შეფასებულია განხორციელების შეწყვეტის ვარიანტის საფუძველზე.

დაწყების თარიღისთვის, კომპანია ზომავს სარგებლობის უფლებას ღირებულებით. სარგებლობის უფლების ღირებულება მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას:
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე:
- გაწეული პირველადი პირდაპირი ხარჯები; და
- ნებისმიერი რეზერვის ოდენობა აღიარებულია, როდესაც კომპანიას ხელშეკრულებით ევალება იჯარით გაცემული აქტივის დემონტაჟი, ამოღება ან აღდგენა

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით თუ, იშვიათად, ითვლება, რომ ეს უფრო მოკლეა ვიდრე იჯარის ვადა. როდესაც კომპანია ხელახლა ამოწმებს ნებისმიერი ლიზინგის ვადის შეფასებას (რადგან, მაგალითად, იგი ხელახლა აფასებს ლიზინგის მიმღების გაგრძელების ან შეწყვეტის ვარიანტის განხორციელების ალბათობას), ის არეგულირებს იჯარის ვალდებულების საბალანსო ღირებულებას, რათა ის ასახავდეს გადახდებს გადახედილი ვადის განმავლობაში, რომლებიც დისკონტირებულია განახლებული დისკონტის განაკვეთით. იჯარის ვალდებულების საბალანსო ღირებულება ანალოგიურად გადაისინჯება, როდესაც ხდება სამომავლო იჯარის გადახდების ცვლადი ელემენტების გადასინჯვა, რომელიც დამოკიდებულია განაკვეთსა და ინდექსზე, გარდა დისკონტის განაკვეთისა, რომელიც რჩება უცვლელი. ორივე შემთხვევაში ექვივალენტური კორექტირება ხდება გამოყენების უფლების მქონე აქტივის საბალანსო ღირებულებასთან, ხოლო გადაფასებული საბალანსო ღირებულება ამორტიზდება დარჩენილი (გადახედილი) იჯარის ვადის განმავლობაში. თუ სარგებლობის უფლების აქტივის საბალანსო ღირებულება ნულოვანია, ნებისმიერი შემდგომი შემცირება აღიარდება მოგებაში-ზარალში.

როცა კომპანია ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- იჯარის მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.

- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.

- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივების გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.
-

17. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანია არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტი აღირიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, ასევე ნებისმიერი პერიოდი, რომელიც დაფარულია იჯარის გახანგრძლივების უფლებით (მათ შორის, ჩვეული ბიზნესის პრაქტიკაში გათვალისწინებული განახლების ვარიანტი), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს, ან ნებისმიერი პერიოდი დაფარულია იჯარის შეწყვეტის უფლებით, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას. კომპანია განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება. კომპანია ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელობანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ჩვეულებრივია, რომ იჯარის განახლების ვარიანტი იგულისხმებოდეს ჩვეული ბიზნეს პრაქტიკის საშუალებით და არა ყველა განახლების ვარიანტი იყოს დოკუმენტირებული იჯარის ხელშეკრულებით. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიანი იჯარა და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

კომპანია იყენებს აღიარების გათავისუფლებას მოკლევადიანი იჯარისათვის (ანუ იჯარა იჯარის ვადით 12 თვიდან ან ნაკლები დაწყების დღიდან) და დაბალი ღირებულების აქტივების იჯარით. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

ხელფასი და მასთან დაკავშირებული ანაზღაურება

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება იმ წელს, როცა თანამშრომლისგან ხდება შესაბამისი მომსახურების მიღება.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

17. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2023 და 2022 წლების 31 დეკემბერს არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

	აშშ დოლარი	**ევრო**
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოდან გასვლა. ვალდებულების წარმომქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც კომპანიამ უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი);
- კანონმდებლობა; ან
- სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქნება კომპანიის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, კომპანია სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, კომპანია აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

ტერმინი "პირობითი ვალდებულება" გამოიყენება ვალდებულებებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს.

სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყოფს შემდეგ კატეგორიებს:

- ანარიცხები - რომლებიც აღიარდება, როგორც ვალდებულება (იმ პირობით, რომ შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება), რადგან ისინი წარმოადგენენ მიმდინარე მოვალეობას და მოსალოდნელია, რომ მათ დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა; და
- პირობითი ვალდებულებები - რომლებიც არ აღიარდება, როგორც ვალდებულება, რადგან წარმოადგენს, ან:
  - შესაძლო მოვალეობებს, რადგან ჯერ კიდევ არაა დადასტურებული, გააჩნია თუ არა კომპანიას მიმდინარე მოვალეობა, რომლის შესრულება გამოიწვევს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლას; ან
  - მიმდინარე მოვალეობებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს (რადგან მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ან შეუძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება).

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

17. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

პირობითი ვალდებულებები შეიძლება განვითარდეს თავდაპირველად მოსალოდნელისგან განსხვავებული სახით. ამიტომ ისინი ფასდება მუდმივად, რათა განისაზღვროს, ხომ არაა აუცილებელი ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა. იმ შემთხვევაში, თუ იმ ვალდებულების დასაფარად, რომელიც განიხილებოდა პირობით ვალდებულებად, საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი იმ პერიოდში, როდესაც ასეთ ცვლილებას ექნება ადგილი (გარდა განსაკუთრებულად იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია).

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსური ანგარიშგებაში, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდა.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე განვითარებული მოვლენები, რომლებიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ გაშიფრულია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

სს „სფეის ინტერნეიშენალი“

მმართველობის ანგარიშგება

2023

სარჩევი:

მმართველობის ანგარიშგება 28

კომპანიის საქმიანობა და განვითარების გეგმები 30

მმართველობა 30

ინფორმაცია სააქციო კაპიტალის შესახებ 31

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები 31

ძირითადი რისკები 33

განვითარების გეგმები 34

საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მიღება 34

ანგარიშების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები 34

სს „ სფეის ინტერნეიშენალი “ ორგანიზაციის შესახებ

სს სფეის ინტერნეიშენალი (შემდგომში - კომპანია) დაფუძნდა 2021 წლის 2 თებერვალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (ს/კ: 402178442). კომპანიის სამართლებრივი ფორმაა სააქციო საზოგადოება. კომპანიის 100% წილის მესაკუთრეა სს სფეისი, რომლის 100% წილის მფლობელია TBC Bank GROUP PLC.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, მარჯანიშვილის ქ. N7.

კომპანიის საქმიანობა და განვითარების გეგმები

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ინოვაციური ფინტექ პლატფორმის “სფეისის“ განვითარებაა, რაც ციფრული საბანკო მომსახურების პლატფორმას წარმოადგენს.

პლატფორმის განვითარება 2018 წელს მშობელი კომპანიის თიბისის მიერ დაიწყო, რომლის მთავარი მიზანი აღნიშნული ციფრული პლატფორმის საშუალებით საერთაშორისო ბაზრებზე ექსპანსია გახლდათ. საწყისს ეტაპზე სფეის პლატფორმის გაშვება საქართველოს ბაზარზე მოხდა, ხოლო 2020 წლისთვის პლატფომა უზბეკეთის ბაზარზეც გაეშვა. პლატფორმა „ქლაუდ“ სისტემაზე დაფუძნებული მოდულარული სისტემაა მოქნილი ტექნოლოგიური არქიტექტურით, რაც სწრაფი განვითარებისა და სხვადასხვა ბაზრებზე მოქმედი მარეგულირებლების მოთხოვნებთან სწრაფი ადაპტაციის საშუალებას იძლევა.

2021 წელს თიბისი ჯგუფის მიერ მოხდა სფეისს ინთერნეშენალის დამოუკიდებელ კომპანიად ჩამოყალიბება, რაც მიზნად ისახავდა ჯგუფის საერთაშორისო ექსპანიის სტრატეგიის განვითარებაზე მეტი ფოკუსის გაკეთებას.

კომპანიის მართვა ცენტრალიზებულად მიმდინარეობს საქართველოში მყოფი მმართველი გუნდის მიერ, რომელსაც გლობალური პლატფორმის და შესაბამისი პროდუქტების განვითარების გეგმა აქვს. ამავდროულად კომერციულ და ბიზნესს ოპერაციებზე პასუხისმგებელია თითოეულ ქვეყანაში არსებული ადგილობრივი გუნდი. ამგავრი მიდგომა უზრუნველყოფს ეფექტურ და მაშტაბირებად ბიზნესს მოდელს, რომელიც ამარტივებს ახალ ბაზრებზე შეღწევის შესაძლებლობას. პარალელურად მარტივდება სისტემის მხარდაჭერა და განახლება, რაც სამომავლოდ არის აუცილებელი.

მმართველობა

საზოგადოების მმართველობითი ორგანოებია აქციონერთა საერთო კრება და სამეთვალყურეო საბჭო. საზოგადოების უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს აქციონერთა საერთო კრება. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება აქვს კომპანიის დირექტორს. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება, როგორც წესი სამ თვეში ერთხელ, სადაც ხდება კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული სტრატეგიული გადაწყვეტილებების განხილვა და მიღება.

ინფორმაცია სააქციო კაპიტალის შესახებ

სააქციო კაპიტალი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

აქციონერები	%	აქციები	ერთი აქციის ფასი ლარში	სააქციო კაპიტალი
სს სოფეისი	100	84,492,969	1	84,492,969
სულ სააქციო კაპიტალი	**100%**	**84,492,969**		**84,492,969**

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	2023	2022
ამონაგები	**20,777,252**	**13,936,374**
პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერა	(8,528,811)	(7,027,459)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(11,108,427)	(4,314,002)
ცვეთა და ამორტიზაცია	(5,048,327)	(2,856,923)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(3,409,255)	(2,144,892)
საოპერაციო ზარალი	**(7,317,568)**	**(2,406,902)**
წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	(93,804)	(416,939)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	329,443	88,166
წლის მთლიანი სრული ხარჯი	**(7,081,929)**	**(2,735,675)**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	1,424,136	1,140,399
აქტივების გამოყენების უფლება	972,801	259,471
არამატერიალური აქტივები	75,614,332	46,415,135
	78,011,269	**47,815,005**
მიმდინარე აქტივები		
სხვა აქტივები	8,937	14,495
საგადასახადო აქტივი	130,808	320,646
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,961,558	6,009,382
ფული და ფულის ეკვივალენტები	977,933	961,492
	7,079,236	**7,306,015**
მთლიანი აქტივები	**85,090,505**	**55,121,020**
კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	84,492,969	51,292,969
დაგროვილი ზარალი	(8,565,149)	(1,483,220)
მთლიანი კაპიტალი	**75,927,820**	**49,809,749**
გრძელვადიანი ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	569,119	166,356
	569,119	**166,356**
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8,164,338	5,070,340
საიჯარო ვალდებულება	429,228	74,575
	8,593,566	**5,144,915**
სულ ვალდებულებები	**9,162,685**	**5,311,271**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**85,090,505**	**55,121,020**

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანის ადამიანური კაპიტალი 350 თანამშრომელს შეადგენდა, რომელთა უმრავლესობა ტექნოლოგიური პროფილის მქონეა.

2023 წლის განმავლობაში კომპანიის შემოსავალი გაიზარდა 49% პროცენტული პუნქტით და შეადგინა 20.8 მილიონი ლარი. შემოსავლების ზრდა ციფრული საბანკო პლატფორმის მიწოდებას და შესაბამის მხარდაჭერას, ასევე ახალი პროდუქტების განვითარებას უკავშირდება. ამასთანავე, მნიშნელოვნად გაიზარდა საოპერაციო დანახარჯები, რაც თანამშრომლების რაოდენობის ზრდას და პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერის მომსახურების ზრდით აიხსნება.

ციფრული საბანკო პლატფორმის განვითარების კუთხით 2023 წელს კომპანიამ მნიშვნელოვანი ინვესტიცია განახორციელა. 2023 წლის განმავლობაში პლატფორმის ღირებულების ზრდამ 63% შეადგინა, რომლის მთავარი მიზეზია სხვადასხვა ახალი საბანკო პროდუქტების განვითარება და რეალურ გარემოში დანერგვა. ამასთანავე, კომპანიამ მნიშვნელოვანი ინვესტიცია და ძალისხმევა გაიღო სხვადასხვა კვლევის მიმართულებით, რაც ინოვაციური მიდგომების ჩამოყალიბებას, პლატფორმის მოდერნიზებას და პროდუქტებისა და პროცესების მნიშნელოვან გაუმჯობესებას ემსახურება. რასაც ჰქონდა შესაბამისი ეფექტი საოპერაციო ხარჯების ზრდის კუთხით.

კომპანიის საშუალო ვადიანი სტრატეგიის შესაბამისად, პლატფორმის განვითარების მიზნით ინვესტიციების ზრდა, მათ შორის საოპერაციო ხარჯების მიმართულებით, მომავალშიც იგეგმება. კომპანიის უმთავრესი მიზანია მაშტაბირებადი და მოქნილი ტექნოლოგიური არქიტექტურის მქონე ციფრული საბანკო პლატფორმის განვითარება, რაც მომავალში სხვადასხვა გეოგრაფიულ ბაზრებზე სწრაფი ექსპანსიის საშუალებას უზრუნველყოფს.

კომპანია მართავს ლიკვიდობის პოზიციას და ცდილობს მისი მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი იყოს მუდმივად პოზიტიური, იმისათვის რომ, კომპანიას არ შეექმნას პოტენციური საოპერაციო სირთულეები ლიკვიდური ფულადი სახსრების მობილიზების.

კომპანია ამ ეტაპზე დაფინანსებას იღებს დედა კომპანიისგან და ცდილობს შეინარჩუნოს დაბალი ლევერიჯი რაც მას აძლევს საშუალებას აირიდოს მაღალი ფიქსირებული საპროცენტო ხარჯები ოპერაციების საწყის ეტაპზე. წლის ბოლოს მდგომარეობით კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები მისი კაპიტალის 10% შეადგენდა რაც მენეჯმენტს აძლევს მეტ მოქნილობას და შესაძლებლობას რომ გრძელვადიანად სესხების მოზიდვის შედეგად კიდევ უფრო გაზარდოს კომპანიის ფინანსური შესაძლებლობები და მხარი დაუჭიროს მის ოპერაციებს.

გამომდინარე იქედან, რომ კომპანია ჯერ კიდევ განვითარების ადრეულ ეტაპზეა მენეჯმენტი თვლის, რომ განვითარების კიდევ ბევრი შესაძლებლობა არსებობს. მენეჯმენტი აქტიურად მუშაობს მშობელი კომპანიის საერთაშორისო ექსპანსიის სტრატეგიის განხორციელების მიმართულებით, პლატფორმის და სხვადასხვა ცოდნის ცენტრების განსავითარებლად.

ძირითადი რისკები

კომპანიის სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია რისკების მართვა. კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია რისკების დროულად იდენტიფიცირება და ეფექტურად მართვა. ქვემოთ მოცემულია კომპანიის ის ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის საქმიანობის შედეგებზე.

კიბერშეტევების საფრთხე და ინფორმაციული უსაფრთხოების რისკი რადგან კომპანიის ძირითადი საქმიანობა ციფრული საბანკო სერვისის მიწოდებაა, არსებობს რისკი, რომ სისტემის გამართულად და სტაბილურად ფუნქციონირებას შეექმნას საფრთხე. ამისათვის შერჩეულია მაქსიმალურად დაცული სისტემები, რასაც გააჩნია სხვადასხვა მოდულები კიბერ შეტევებისგან დასაცავად. კომპანიაში ასევე არსებობს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ინფორმაციული უსაფრთხოების კადრები, რომლების ნერგავენ ეფექტურ პროცესებს და სისტემებს რისკების პრევენციის და აღმოფხვრის მიზნით.

მენეჯმენტი აქტიურად არის ჩართული საოპერაციო რისკების, შესაბამისობის და ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებებით პროცესების დახვეწისა და გაუმჯობესების კუთხით. ამ მიმართულებით 2021 წლის დაიწყო მნიშვნელოვანი სამუშაო პროცესი აღნიშნული რისკების მართვის მიზნით, მოხდა რისკების მართვის გუნდის გაფართოვება და დამტკიცებული სამოქმედო გეგმის მიხედვით ეფექტური ნაბიჯების გადადგმა.

განვითარების გეგმები

2024 წელს თიბისი ბანკის აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო სტრატეგიული გადაწყვეტილება, შეწყვიტოს „Space“-ის, მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბიზნეს ხაზის ოპერაციები. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ჯგუფის რესურსების მაქსიმალური ღირებულების მისაღწევად და სწრაფად მზარდი მიმართულებებისკენ გადასანაწილებლად, რაც სრულად შეესაბამება ბანკის გრძელვადიან მიზნებს.

ამ გადაწყვეტილების შედეგად, თიბისი ბანკ საქართველოსა და სს სფეის ინტერნეიშენალს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა პროდუქტის ტექნოლოგიურ მომსახურებასა და მხარდაჭერას, ფორმალურად შეწყდა. აღნიშნულმა ცვლილებამ სს სფეის ინტერნეიშენალს შესაძლებლობა მისცა მიემართა თავისი რესურსები ახალ, ინოვაციურ ინიციატივისკენ.

სს სფეის ინტერნეიშენალმა შეადგინა ამბიციური გეგმა, რომელიც მოიცავს "Space"-ის ტრანზიციის შედეგად გამოთავისუფლებული რესურსების გამოყენებას არსებული ტექნოლოგიური პლატფორმის მოდერნიზაციის დასაჩქარებლად. გარდა ამისა, კომპანია კონცენტრირდება ახალი პროდუქტებისა და ფუნქციონარების კვლევაზე და განვითარებაზე, რომლებიც მორგებული იქნება როგორც არსებულ, ასევე პოტენციურ კლიენტებზე. არსებულ კლიენტებს შორის, თიბისი ბანკი უზბეკეთი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს და საშუალება ექნება ისარგებლოს ამ ინოვაციური პროდუქტით.

თიბისი ჯგუფის საერთაშორისო ექსპანსიის სტრატეგიის ფარგლებში, სს სფეის ინტერნეიშენალი მზად არის გააფართოოს თავისი შეთავაზებები პოტენციურ კლიენტებთან. ეს მოიცავს ახალი ბაზრების კვლევას, შესწავლას, ტექნოლოგიური შესაძლებლობების გაუმჯობესებასა და სტრატეგიული პარტნიორობის ფორმირებას, რათა მხარი დაუჭიროს ჯგუფის ზრდას ახალ გეოგრაფიულ არეალში.

მიმდინარე გეგმით, სს სფეის ინტერნეიშენალი მიზნად ისახავს დაიკავოს წამყვანი პოზიცია ჯგუფის შიგნით, როგორც ტექნოლოგიური მომსახურების მოწინავე პროვაიდერმა, რომელსაც შეუძლია გაზარდოს ეფექტურობა, ხელი შეუწყოს ინოვაციებს და უზრუნველყოს მძლავრი გადაწყვეტილებების მიწოდება, რაც მხარს დაუჭერს თიბისი ბანკისა და მისი შვილობილი კომპანიების საერთაშორისო ზრდას.

საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მიღება

2024 წლის 1 ივლისს, საქართველოში სს სფეის ინტერნეიშენალმა წარმატებით მოიპოვა საერთაშორისო კომპანიის სტატუსი, რაც მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს კომპანიის განვითარებისათვის. აღნიშნული სტატუსი უზრუნველყოფს შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმით სარგებლობას, რაც ხელს უწყობს ოპერაციების ოპტიმიზაციას და საერთაშორისო ბაზრებზე უკეთესად პოზიციონირებას.

სტატუსი სს სფეის ინტერნეიშენალს მისცემს შესაძლებლობას განავითაროს ოპერაციები გლობალურ მასშტაბზე და მოახდინოს ბიზნეს პროცესების ეფექტიანი მენეჯმენტი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის კომპანიის კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზრებზე.

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

სს სფეის ინტერნეიშენალის 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 2 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

ნიკოლოზ ქურდიანი

დირექტორი

განვითარების გეგმები

2024 წელს თიბისი ბანკის აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო სტრატეგიული გადაწყვეტილება, შეწყვიტოს „Space"-ის, მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბიზნეს ხაზის ოპერაციები. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ჯგუფის რესურსების მაქსიმალური ღირებულების მისაღწევად და სწრაფად მზარდი მიმართულებებისკენ გადასანაწილებლად, რაც სრულად შეესაბამება ბანკის გრძელვადიან მიზნებს.

ამ გადაწყვეტილების შედეგად, თიბისი ბანკ საქართველოსა და სს სფეის ინტერნეიშენალს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა პროდუქტის ტექნოლოგიურ მომსახურებასა და მხარდაჭერას, ფორმალურად შეწყდა. აღნიშნულმა ცვლილებამ სს სფეის ინტერნეიშენალს შესაძლებლობა მისცა მიემართა თავისი რესურსები ახალ, ინოვაციურ ინიციატივისკენ.

სს სფეის ინტერნეიშენალმა შეადგინა ამბიციური გეგმა, რომელიც მოიცავს "Space"-ის ტრანზიციის შედეგად გამოთავისუფლებული რესურსების გამოყენებას არსებული ტექნოლოგიური პლატფორმის მოდერნიზაციის დასაჩქარებლად. გარდა ამისა, კომპანია კონცენტრირდება ახალი პროდუქტებისა და ფუნქციონარების კვლევაზე და განვითარებაზე, რომლებიც მორგებული იქნება როგორც არსებულ, ასევე პოტენციურ კლიენტებზე. არსებულ კლიენტებს შორის, თიბისი ბანკი უზზეკეთი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს და საშუალება ექნება ისარგებლოს ამ ინოვაციური პროდუქტით.

თიბისი ჯგუფის საერთაშორისო ექსპანსიის სტრატეგიის ფარგლებში, სს სფეის ინტერნეიშენალი მზად არის გააფართოოს თავისი შეთავაზებები პოტენციურ კლიენტებთან. ეს მოიცავს ახალი ბაზრების კვლევას, შესწავლას, ტექნოლოგიური შესაძლებლობების გაუმჯობესებასა და სტრატეგიული პარტნიორობის ფორმირებას, რათა მხარი დაუჭიროს ჯგუფის ზრდას ახალ გეოგრაფიულ არეალში.

მიმდინარე გეგმით, სს სფეის ინტერნეიშენალი მიზნად ისახავს დაიკავოს წამყვანი პოზიცია ჯგუფის შიგნით, როგორც ტექნოლოგიური მომსახურების მოწინავე პროვაიდერმა, რომელსაც შეუძლია გაზარდოს ეფექტურობა, ხელი შეუწყოს ინოვაციებს და უზრუნველყოს მძლავრი გადაწყვეტილებების მიწოდება, რაც მხარს დაუჭერს თიბისი ბანკისა და მისი შვილობილი კომპანიების საერთაშორისო ზრდას.

საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მიღება

2024 წლის 1 ივლისს, საქართველოში სს სფეის ინტერნეიშენალმა წარმატებით მოიპოვა საერთაშორისო კომპანიის სტატუსი, რაც მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს კომპანიის განვითარებისათვის. აღნიშნული სტატუსი უზრუნველყოფს შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმით სარგებლობას, რაც ხელს უწყობს ოპერაციების ოპტიმიზაციას და საერთაშორისო ბაზრებზე უკეთესად პოზიციონირებას.

სტატუსი სს სფეის ინტერნეიშენალს მისცემს შესაძლებლობას განავითაროს ოპერაციები გლობალურ მასშტაბზე და მოახდინოს ბიზნეს პროცესების ეფექტიანი მენეჯმენტი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის კომპანიის კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზრებზე.

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

სს სფეის ინტერნეიშენალის 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 02 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

ნიკოლოზ ქურდიანი

დირექტორი